

იზოტროპული არაერთგვაროვანი პრიზმული გარსის ტიპის სხეულების
ანტიბრტყელი დეფორმაცია (ძვრა)

გიორგი ჯაიანი

განხილულია იზოტროპული არაერთგვაროვანი პრიზმული გარსის ტიპის სხეულების ანტიბრტყელი დეფორმაცია (ძვრა), როცა ძვრის მოდული სხეულის პროექციის მთელ საზღვარზე ან მის ნაწილზე ხდება ნული. შესწავლილია სასაზღვრო ამოცანების კორექტულად დასმის საკითხი ძვრის მოდულის ნულად გახდომის ხასიათზე დამოკიდებულებით. როცა სხეულის პროექცია ნახევარსიბრტყეა და ძვრის მოდული იცვლება როგორც ხარისხოვანი ფუნქცია საზღვრისადმი პერპენდიკულარული მიმართულებით, ძირითადი სასაზღვრო ამოცანები ამოხსნილია კვადრატურებში.